GEA GEORGIAN EMPLOYERS ASSOCIATION

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია

NEWSLETTER

ნოემბერი, 2017

ბიზნეს სექტორმა შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონპროექტი განიხილა

შრომის მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლებმა მშენებლობაზე ინსპექტირების ჩატარების შესახებ ტრენინგი გაიარეს

ბელორუსიის სახელმწიფო დელეგაცია ბიზნეს სექტორს შეხვდა საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციაში

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის წევრი კომპანიები ფინანსთა მინისტრს შეხვდნენ

ბაქოს "აგრო მოლში" ასოციაციის წევრი კომპანიების მიერ წამროებული პროდუქტისთვის სივრცე გამოიყოფა

ბიზნეს სექტორმა შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონპროექტი განიხილა

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციაში კერძო სექტორმა შრომის უსაფრთხოების კანონპოექტზე იმსჯელა.

შეხვედრა მიზნად ისახავდა ბიზნეს სექტორის პოზიციის დაფიქსირებას იმ მოსალოდნელი შედეგების შესახებ, რომელიც შესაძლებელია გამოიწვიოს შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონპროექტის არსებული სახით ძალაში შესვლამ.

კერძო სექტორის წარმომადგენლები მსჯელობის შედეგად შეთანხმდნენ, რომ კანონპროექტის აღსრულება გამოიწვევს სერიოსულ პრობლემებს საწარმოებში, განსაკუთრებით, მცირე და საშუალო ზომის კომპანიებში. არსებული მდგომარეობის დამაძიმებელ ფაქტად მიიჩნევენ, რომ კანონპროექტის სულისკვეთება სადამსჯელო ღონისძიებების გატარებაა და არა პრეცენციული პოლიტიკის ჩამოყალიბება.

შეხვედრაზე, ასევე მნიშვნელოვან მოსალოდნელ პრობლემად გამოვლინდა კორუფციის ზრდის რისკები, რასაც გამოიწვევს სასამართლოს ნებართვის გარეშე საწარმოს საქმიანობაში სახელმწიფოს ჩარევა.

საუბარი შეეხო კანონის გავრცელების არეალსაც. ბიზნესი მიიჩნევს, რომ აუცილებლად უნდა იყოს კანონი გავრცელებული მომეტებული საფრთხის შემცველ სამუშაოებზე, რადგან მიზანი შესრულებადი იყოს.

აღნიშნა, რომ აუცილებელი იყო კანონის აღსრულების სტრუქტურის განსაზღვრა აუთსორსინგული მომსახურების გაწევით და არა იპმერატიულად მხოლოდ სახელმწიფო მოხელეებისა და სახლმწიფოს სტრუქტურაში დამატებითი მხარჯავი დაწესეულების შექმნით.

ამასთან, სრულიად მიუღებელია მიდგომა რაც კანონპროექტის განმარტებით ბარათშია მითითებული, რომ კანონმა უნდა გამოიწვიოს ბიუჯეტის შევსება მეწარმეების დაჯარიმების ხარჯზე.

კანონპროექტის განხილვისთვის გამართულ შეხვედრას 50-მდე კომპანიის წარმომადგენელი და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტი ვლადო ჩუროვიჩი ესწრებოდნენ.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია, როგორც სამმხრივი სოციალური პარტნიორობის ფორმატში ბიზნეს სექტორის წარმომადგენელი მხარე სისტემატურად მუშაობს შრომის უსაფრთხოების მიმართულებით მიმდინარე ცვლილებების პროცესში კერძო სექტორის ინტერესების აღიარების მიმართულებით.

შრომის მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლებმა მშენებლობაზე ინსპექტირების ჩატარების შესახებ ტრენინგი გაიარეს

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ორგანიზებით და ბიზნეს გაერთიანება - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის მხარდაჭერით ჯანდაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის წარმომადგენლებისთვის დაიწყო ტრენინგების ციკლი თემაზე: „ინსპექტირების ჩატარება მშენებლობაზე“.

ტრენინგის, რომელსაც უძღვება ILO-ს ექსპერტი ენდრიუ კრისტიანი, მიზანს წარმოადგენს შრომის ინსპექტორების კვალიფიკაციის ამაღლება მშენებლობაზე ინსპექტორების ჩატარების კუთხით. კერძოდ, ტრენინგზე განიხილა შემდეგი საკითხები -ინსპექტირების დაგეგმვა მშენებლობის ციკლის, უსაფრთხოების კოორდინაციისა და დაგეგმარების გათვალისწინებით; მშენებლობის ინსპექტორების არსებული პოლიტიკა და სტანდარტები საქართველოში; საფრთხე და რისკი მშენებლობაზე.

ამასთან, ტრენინგების თემატიკის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმობა ისეთი აქტუალურ პრობლემას, როგორიცაა უბედური შემთხვევები მშენებლობაზე.

განიხილება ფატალური შემთხვევების გამოძიების პროცედურა და გამომწვევი მიზეზების პრევენციის საშუალებები.

ტრენინგი ოთხდღიანია და მოიცავს როგორც თეორიულ სწავლებასა და დისკუსიებს, ისე პრაქტიკის ნაწილს მიმდინარე მშენებლობებზე. გარდა ამისა, ტრენინგის მსვლელობაში ჩაერთვება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მშენებლობის ნორმებისა, უსაფრთხოების, ინსპექტირების პროცედურებისა და სანქციების თემების განსახილველად.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია და შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია ინსპექტირების დეპარტამენტის ჩამოყალიბების იდეიდან დღემდე აქტიურად არიან ჩართული მისი განვითარების პროცესში, რათა მაქსიმალურად უმტკივნეულოდ მოხდეს აღნიშნული დეპარტამენტის საქმიანობის განხორციელება კერძო სექტორში.

ბელორუსიის სახელმწიფო დელეგაცია ბიზნეს სექტორს შეხვდა საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციაში

ბელორუსიის სახელმწოფო დელეგაციამ ბელორუსიის ვიცე-პრემიერის მიხეილ რუსის ხელმძღვანელობით საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციაში ბიზნეს სექტორთან საქართველო-ბელორუსიას შორის სავაჭრო-ეკონომიკური და საინვესტიციო შესაძლებლობები განიხილა.

შეხვედრაზე გაიჟერა, რომ იგეგმება საქართველო-ბელორუსიის ბიზნეს საბჭოს გეგმა, რომლის მიზანი იქნება ბიზნეს ურთიერთობების გაღრმავება.

შეხვედრაზე ბელორუსიის დელეგაციის მხრიდან გაკეთა მოხსენებები შემდეგი თემების შესახებ:

•ბელორუსიის საექსპორტო პოტენციალი სასოფლო-სამეურნეო, მანქანათმშენებლობისა და საავტომობილო მიმართულებით;

•ბელორუსიის საინვესტიციო შესაძლებლობები კვების მრეწველობის მიმართულებით.

შეხვედრა საქართველოში ბელორუსიის დელეგაციის ვიზიტის ფარგლებში გაიმართა, რომლის მიზანია ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება და სამომავლო ბიზნეს კავშირების მხარდაჭერა.

ბელორუსიის მხრიდან წარმოდგენილ დელეგაციას, რომელსაც ვიცე-პრემიერი ხელმძღვანელობს, წარმოადგენდნენ ბელორუსიის წამყვანი კომპანიები და მრეწველობის მინისტრის მოადგილე ალექსანდრ ოგოროტნიკოვი. ხოლო საქართველოს მხრიდან შეხვედრას 60-მდე კომპანიის ხელმძღვანელი პირი დაესწრო.

შეხვედრა გაიმართა საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის საკონფერენციო დარბაზში.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის წევრი კომპანიები ფინანსთა მინისტრს შეხვდნენ

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის წევრები ფინანსთა მინისტრს, მამუკა ბახტაძეს შეხვდნენ ქვეყანაში არსებული მაკროეკონომიკური მდგომარეობისა და საგადასახადო კანონმდებლობაში დაგეგმილ ცვლილებათა პაკეტის გასაცნობად.

მომზადებული კანონპროექტი ითვალისწინებს კაპიტალის ბაზრის განვითარების ხელშეწყობას, ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებას და გადამხდელთა დაბეგვრის ცალკეული საკითხების დაზუსტებას.

აღნიშნულ ცვლილებათა პაკეტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სწორედ კაპიტალის ბაზრის განვითარებისთვის მომზადებული ცვლილებებია, რომელიც შემუშავებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტების მონაწილეობით მსოფლიოში არსებულ საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით.

კიდევ ერთი ცვლილება სავაჭრო ზონების მოწყობის განვითარებას, გადასახადის გადამხდელთა დაბეგვრის ცალკეული საკითხების დაზუსტებას ითვალისწინებს.

ეს ცვლილებები ხელს შეუწყობს აღნიშნული სექტორის განვითარებას, მისი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად ფუნქციონირებას, დაბეგვრის საკითხების მოწესრიგებას, მცირე ბიზნესის ხელშეწყობას.

პაკეტში გათვალისწინებულია, ასევე, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების კუთხით გასატარებელი ცვლილებები. წარმოდგენილი ცვლილებების შესაბამისად, 2023 წლამდე გაგრძელდება რიგი საგადასახადო შეღავათები.

რაც შეეხება ბიზნესისთვის ზედმეტობის დაბრუნების ავტომატიზებული სისტემის დანერგვას. მუშავდება სისტემა, რათა მეწარმეს არანაირი დამატებით ბიუროკრატიასთან არ ჰქონდეს შეხება და მხოლოდ ელექტრონული განაცხადის შევსების საფუძველზე, შესაძლებელი იყოს დღგ-ის ზედმეტობის დაბრუნება 5-7 სამუშაო დღეში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საშუალო და მცირე ბიზნესისთვის, მათი სტიმულირებისთვის, რადგან მათ ექნებათ დამატებითი ფინანსური რესურსი განვითარებისთვის.

შეხვედრას საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის 100-ზე მეტი წევრი კომპანია ესწრებოდა. ბიზნეს გაერთიანება GEA სისტემატურად აწყობს მსგავსი ტიპის შეხვედრებს სხვადასხვა სამთავრობო უწყების წარმომადგენლებთან, რათა ბიზნეს სექტორი აქტიურად იყოს ჩართული და მაქსიმალურად ინფორმაირებული საკონონმდებლო ცვლილებების პროცესში.

ბაქოს "აგრო მოლში" ასოციაციის წევრი კომპანიების მიერ წამროებული პროდუქტისთვის სივრცე გამოიყოფა

ბიზნეს გაერთიანება - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია წევრ კომპანიებს სთავაზობს პროდუქტის ექსპორტში ხელშეწყობას აზერბაიჯანის ბაზარზე.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ვიცე-პეზიდენტი დანიელ გახარია იმყოფებოდა ბაქოში, „აგრო მოლის“ გახსნაზე, რომელიც წარმოადგენს სოფლის მეურნეობის პროდუქტების თანამედროვე სავაჭრო ცენტრს. დანიელ გახარიას ვიზიტის ფარგლებში გამართული მოლაპარაკებების შედეგად, ბაქოს აგრო მოლში საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის წევრი კომპანიებისთვის გამოიყოფა სივრცე, სადაც მწარმოებლებს მიეცემათ საშუალება განათავსონ პროდუქტი როგორც საგამოფენო, ისე საცალო და საბითუმო ვაჭრობის მიზნით.

აღსანიშნავია, რომ „აგრო მოლი“ ბაქოში განხორციელებული ერთ-ერთი მასშტაბური პროექტია, რომელიც აზერბაიჯანის ეროვნული ფონდიდან დაფინანსდა. აგრო მოლების მოწყობა აზერბაიჯანის რამდენიმე ქალაქში იგეგმება და საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციისა და მისი წევრი კომპანიებისთვის სივრცე ყველა მათგანში იქნება განკუთვნილი.

დანიელ გახარიამ მნიშვნელოვანი შეხვედრები გამართა არაერთი ქვეყნის წარმომადგენელთან საქართველოში წარმოებული პროდუქტის საექსპორტო არეალის გაზრდის მიზნით.

უახლოეს პერიოდში საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია საქმიანი ვიზიტით კვლავ გაემგზავრება ბაქოში და წარადგენს რამდენიმე ადგილობრივი მწარმოებლის პროდუქტს „აგრო მოლში“. ასოციაცია კომპანიებს სთავაზობს ამ შესაძლებლობის გამოყენებას, რომლებმაც დაინტერესების შემთხვევაში უნდა მიმართონ ასოციაციის ოფისს.

ბიზნეს გაერთიანება
საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია

ნოემბერი, 2017

NEWSLETTER

0159, საქართველო, თბილისი,
ა. ბელიაშვილის ქ. #8

T: +995 32 2 14 73 73

M: +995 579 555 551

E: employer@employer.ge

www.employer.ge